



ფინანსური კრიზისის მართვის გზები
და იზოლაციის დროს გაჩენილი
შესაძლებლობები

ფინანსური კრიზისის მართვის გზები და იზოლაციის დროს გაჩენილი შესაძლებლობები

ავტორი: რამინ კოჩალიძე

კორონავირუსი თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს გამოწვევად იქცა. პანდემიამ უდიდესი ზიანი მიაყენა როგორც მსოფლიო ეკონომიკას, ისე კომპანიების და ინდივიდების ფინანსურ მდგომარეობას. ამასთანავე შეიცვალა მსოფლიოში არსებული ბიზნეს-მიდგომები და გაჩნდა ახალი შესაძლებლობები ბიზნესისა თუ პირადი განვითარების მიმართულებებით. ასეთ დროს ძალიან მნიშვნელოვანია პირადი ფინანსების ეფექტური მართვა და ამ შესაძლებლობების სწორი გამოყენება.

ფინანსური კრიზისის მართვის გზები

უკანასკნელი თვეების განმავლობაში საქმიანობა შეწყვიტა ან დროებით შეაჩერა ბევრმა ორგანიზაციამ, შედეგად კი დასაქმებულთა დიდ ნაწილს შეუმცირდა შემოსავალი ან საერთოდ დაკარგა იგი. შემოთავაზებული გზები იძლევა ფინანსების სწორად მართვისა და ზემოთ ხსენებული შესაძლებლობების გამოყენების საშუალებას.

- 1. ბიუჯეტირება.** იგულისხმება არსებული თუ საჭირო ფინანსური სახსრების ხარჯვის დაგეგმვის პროცესი იმისათვის, რომ წინასწარ განსაზღვროთ კონკრეტული პერიოდისათვის საჭირო ფინანსები. ეს კი თავის მხრივ საშუალებას მოგცემთ მოახდინოთ საჭიროებების პრიორიტეტიზაცია და განსაზღვროთ თუ რისთვის გეყოფათ არსებული რესურსი. ეს მიდგომა დაგეხმარებათ ფინანსების მიზნობრივ ხარჯვაში და მაქსიმალურად შეგიმცირებთ დამატებითი ფინანსური ვალდებულებების აღების საჭიროებას.
- 2. არასაჭირო ხარჯების შემცირება.** საჭიროა არსებული ფინანსური სახსრების მიზნობრივი ხარჯვა, მხოლოდ აუცილებელი პროდუქტისა თუ მომსახურების მისაღებად. არასაჭირო ხარჯად შეიძლება ჩაითვალოს ბრენდული ტანსაცმლის შეძენა, გართობა და ა.შ. თუმცა ის, შეიძლება განსხვავებული იყოს თითოეული პიროვნებისათვის.
- 3. ვალდებულებების გადავადებასთან თუ მასთან დაკავშირებული სხვა შემოთავაზებების გამოყენება.** საჭიროა გამოიყენოთ ისეთი შესაძლებლობა, როგორცაა კომერციული ბანკების მიერ შემოთავაზებული სესხ(ებ)ის გადავადება. შეთავაზების გამოყენება საშუალებას მოგცემთ სასესხო ვალდებულებებისაგან გამოთავისუფლებული ფინანსური რესურსი სხვა, ამ ეტაპზე უფრო მნიშვნელოვანი საჭიროებებისკენ მიმართოთ. იმ შემთხვევაში თუ სესხი ბინის შეძენისათვის აიღეთ, გადაამოწმეთ სამშენებლო კომპანიასთან აქვს თუ არა გარანტიის პირობები, რომლის მიხედვითაც შეგიძლიათ გადახდილი თანხა უკან დაიბრუნოთ თუ შემოსავალს დაკარგავთ.

4. დახმარების სახელმწიფო პროგრამებით სარგებლობა. იმ შემთხვევაში თუ შემოსავალი დაკარგეთ, გირჩევთ ისარგებლოთ დახმარების სახელმწიფო პროგრამებით, რომლებიც ვრცელდება თვითდასაქმებულებსა და იმ პირებზე ვინც სამუშაო დაკარგა.
5. არასაჭირო ნივთების რეალიზაცია. ალბათ, ყველას გაქვთ რაიმე ნივთი, რომელიც ადრე ძალიან მოგწონდათ ან ერთხელ დაგვჭირდა და სწორედ ამის გამო შევიძინეთ, თუმცა გარკვეული პერიოდია არ გამოგიყენებიათ. ფინანსური კრიზისის დროს, დამატებითი სახსრების მოძიების ერთ-ერთი პოპულარული და ქმედითუნარიანი გზა არის აღნიშნული ნივთების გაყიდვა.

იზოლაციის დროს გაჩენილი შესაძლებლობები

კორონავირუსის შედეგად გამოწვეულ ფინანსურ თუ სხვა პრობლემებთან ერთად, გაჩნდა ახალი შესაძლებლობებიც, რომელთა გამოყენებაც უფრო საინტერესოს და სასარგებლოს გახდის იზოლაციაში გატარებულ დროს.

1. საკუთარ ბიზნეს იდეებზე მუშაობა. არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, დასაქმებულთა დიდ ნაწილს დროებით შეუზღუდათ საქმიანობა ან შეუმცირდა სამუშაოს მოცულობა, რის შედეგადაც გამოუთავისუფლდათ გარკვეული დრო. თუ აქამდე გქონდათ ბიზნეს იდეები, მაგრამ ვერ ახერხებდით მათზე მუშაობას, ახლა კარგი დროა ამისთვის.
2. ახალ ბიზნეს იდეებზე მუშაობა, რომელთა საჭიროებაც არსებულმა მდგომარეობამ წარმოშვა. კორონავირუსმა და იზოლაციამ გამოიწვია უამრავი პრობლემა, რომელთა გადაჭრის ახლებური და ეფექტური გზის მოძიება საკმაოდ პერსპექტიული შეიძლება აღმოჩნდეს. წამოწყება შეიძლება წარმატებული იყოს არამარტო არსებული მდგომარეობის ჟამს არამედ სამომავლოდაც. შეგიძლიათ თვითონ შექმნათ მოთხოვნა აღნიშნულ სერვისსა თუ პროდუქტზე, რომელზეც მომხმარებელს არც კი უფიქრია აქამდე.
3. თვითგანვითარება. კორონავირუსის პანდემიად გამოცხადების შემდეგ, უფასოდ ხელმისაწვდომი გახდა უამრავი სასარგებლო სალექციო კურსი ისეთ საიტებზე, როგორიცაა Coursera.org, EDX.org და ა.შ. აღნიშნული კურსები და გამოთავისუფლებული დრო შეგიძლიათ დაუთმოთ თვითგანვითარებას. კურსები შეგიძლიათ გაიაროთ უფასოდ და კონკრეტული საფასურის სანაცვლოდ შესაბამისი სერტიფიკატის მიიღოთ. ამასთანავე შეგიძლიათ უფრო მეტი დრო დაუთმოთ საკუთარ ინტერესებს, როგორიცაა ვარჯიში, დაკვრა, კითხვა და ა.შ.
4. არსებული ბიზნეს საქმიანობის ახალ საჭიროებებზე მორგება. თუ ბიზნესის მფლობელი ხართ ან კომპანიაში მენეჯერული პოზიცია გიკავიათ, შეგიძლიათ თქვენი ბიზნესი შეცვლილ გარემოებებსა და მოთხოვნილებებს მოარგოთ. ამასთანავე გახადოთ იგი უფრო ადაპტირებადი სამომავლოდ მოსალოდნელ კრიზისებთან.
5. ფინანსური სახსრებისა და დროის დაზოგვა. უამრავი დასაქმებული გადავიდა დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე, რამაც გამოათავისუფლა დრო, რომელიც გადაადგილებაში იხარჯებოდა.

ამასთან ერთად მათ შეუმცირდათ ხარჯებიც, რომლებიც დაკავშირებული იყო სამუშაოზე ან ზოგადად ქალაქში გადაადგილებასთან, გარეთ კვებასთან და არა აუცილებელ დანახარჯებთან, რომლებიც ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების თანმდევია.

6. დამატებითი დისტანციური სამუშაოს პოვნა. დამატებითი შემოსავლის მიღებისა და დროის ეფექტურად გამოყენების მიზნით, შეგიძლიათ გამოიყენოთ Upwork.com და მისი მსგავსი პლატფორმები, რომლებიც დაგაკავშირებთ დამკვეთებს, რომლებსაც თქვენი კომპეტენციის ფარგლებში არსებული მომსახურება ესაჭიროებათ. მომსახურების გაწევის შემდგომ კი წინასწარ შეთანხმებულ ჰონორარსაც მიიღებთ.

და ბონუსი, ოჯახთან ყოფნა. და რაც ყველაზე მთავარია, შეგიძლიათ იყოთ ოჯახთან ერთად და დაუთმოთ მათ თქვენი დროის დიდი ნაწილი, რისი შესაძლებლობაც აქამდე არ გქონდათ.

PMO მენეჯმენტის საკონსულტაციო კომპანიაა, რომელიც სხვადასხვა ინდუსტრიაში მოქმედ ორგანიზაციებს მომსახურების ფართო სპექტრს სთავაზობს. ჩვენი მომსახურება მოიცავს: ბაზრის კვლევასა და ანალიზს, კონსულტაციებს

www.pmo-bc.com

(+995 32) 2 37 73 07

რა ფა ე ლ ე რ ი ს თ ა ვ ი ს ქ . 16

თ ბ ი ლ ს ი , 0179, ს ა ქ ა რ თ ე ლ



ორგანიზაციული განვითარების მიმართულებით, ბაზარზე შესვლისა და ბიზნესის გაფართოების მიზანშეწონილობის კვლევას, ადამიანური რესურსების, მარკეტინგისა და პროდუქტის განვითარების მართვაში დახმარებას. ჩვენ ასევე ვუწევთ მომსახურებას კომპანიებს რისკების მართვისა და ფინანსების მიმართულებით.¹

¹ მნიშვნელოვანია: მოცემული დოკუმენტი და მასში შეტანილი ყველა იდეა, კონცეფცია, ჩარჩოები და რეკომენდაციები წარმოადგენს PMO Business Consulting-ის ინტელექტუალურ საკუთრებას. ინფორმაციის სრულად ან ნაწილობრივ გადაცემა, გადაწერა, გავრცელება, გადამუშავება ან დოკუმენტის ნებისმიერი სხვა სახით გამოყენება არ არის დაშვებული მთავარი წყაროს გარეშე – www.pmo-bc.com